

### ოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №3

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

#### ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №3

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. ხობში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. ხელვაჩაურში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. ბოლნისში;
- ერთი 25 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. საგარეჯოში.

გადასაცემი ობიექტები:

- სს "ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 90%;
- ხობში, ხელვაჩაურში, ბოლნისში და საგარეჯოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებები, გარდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის "03"-ის.

შერჩევაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს 1 050 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

შემოთავაზებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში. მათი წარმოდგენის საბოლოო ვადაა 21 მარტი 17:00 საათი.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ 21 მარტს, 17:30 საათზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801. კონვერტით წარმოდგენილი შემოთავაზება საბოლოოა და გაუმჯობესებას არ ექვემდებარება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01

---

### ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №3 - კონკურსის შედეგები

21 მარტს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საჯაროდ გაიხსნა

"ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" გადასაცემ კონკურსზე წარმოდგენილი კონვერტები. გამარჯვებულად კონკურსის ერთადერთი მონაწილე - შპს "ბლოკ ჯორჯია" დასახელდა, რომელმაც დააკმაყოფილა ყველა საკონკურსო პირობა და საუკეთესო საინვესტიციო წინადადებები წარმოადგინა.

ჩეხურ-ქართული ერთობლივი კომპანია "ბლოკ-ჯორჯია" ვალდებულებას იღებს "სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" და მასთან ერთად ხობში, ხელვაჩაურში, ბოლნისში და საგარეჯოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების (გარდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების "03"-ის სადგურის) გადაცემის სანაცვლოდ საქართველოს რეგიონებში აამენოს, აღჭურვოს და მართოს 145 საწოლი ადგილის რაოდენობის ახალი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალები. კერძოდ:

- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ხობში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ხონში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი აბაშაში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ჩხოროწყუში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი მარტვილში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ხელვაჩაურში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი დუშეთში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ბოლნისში;
- ერთი 25 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი საგარეჯოში;

შპს "ბლოკ ჯორჯია"- პროექტის განხორციელებისთვის 4 000 000 აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს.